განკარგულება:**გ-49. 49251787**
თარიღი:**27/06/2025**

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის “ ახალი, ექსპლოატაციაში არმყოფი 1 (ერთი) ერთეული თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანის (Truck) ტექნიკური მახასიათებლები: მარკა-FOTON, ტიპი-თვითმცლელი/TIPPER, მოდელი-BJI226VMPHD-F2, საიდენტიფიკაციო კოდი LVBV6PDBXSW062887, გამოშვების წელი-2025, სახელმწიფო ნომერი -BC 105 CC

საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა, მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 16 ივნისის №48-4825167133 წერილი,რომელშიც აღნიშნულია, რომ შპს ,,აგრო მოტორსსა'' და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას შორის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2025 წლის 16 მაისს გაფორმებული N114 ხელშეკრულების შესაბამისად, შპს ,,აგრო მოტორსის'' მიერ მოწოდებული იქნა ახალი, ექსპლოატაციაში არ მყოფი 1 (ერთი) ერთეული თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანა (Truck). ტექნიკური მახასიათებლები: მარკა-FOTON, ტიპი-თვითმცლელი/TIPPER, მოდელი-BJI226VMPHD-F2, საიდენტიფიკაციო კოდი LVBV6PDBXSW062887, გამოშვების წელი-2025, სახელმწიფო ნომერი -BC105CC. აღნიშნული ავტომანქანა საკუთრებაში უნდა გადაეცეს ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრს''.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106^1-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის “ ახალი, ექსპლოატაციაში არმყოფი 1 (ერთი) ერთეული თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანის (Truck) ტექნიკური მახასიათებლები: მარკა-FOTON, ტიპი-თვითმცლელი/TIPPER, მოდელი-BJI226VMPHD-F2, საიდენტიფიკაციო კოდი LVBV6PDBXSW062887, გამოშვების წელი-2025, სახელმწიფო ნომერი -BC 105 CC საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი